წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 2

ქ. წალკა; 28.02. 2025 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ავთანდილ ვანაძე, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, ლევონ მარკოსიან, ჯემალ ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, იდა ბალაბანოვა, ალექსი მუხსიევი, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, გურამ მგელაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ამირან საყვარელიძე/;**

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ";

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის დამტკიცების შესახებ";

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის გაცნობა;

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის თებერვლის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: საკრებულომ ღია კენჭისყრით (25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ";

/მომხსენებელი: ამირან საყვარელიძე- წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/
/თანამომხსენებელი: ჯემალი ბერიძე - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის დამტკიცების შესახებ";

/მომხსენებელი: ამირან საყვარელიძე- წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/
/თანამომხსენებლები: ჯემალი ბერიძე - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ანტარამ მელტონიან - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის გაცნობა;

/მომხსენებელი: ამირან საყვარელიძე- წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
/თანამომხსენებლები: ჯემალი ბერიძე - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ანტარამ მელტონიან - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მელიტონ პაკელიანი - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ლევონ მარკოსიან - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ნუგზარ ჩამურლიევი - სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის თებერვლის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

/მომხსენებელი: ჯემალი ბერიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

სხდომამ განიხილა:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ";

/მომხსენებელმა: ამირან საყვარელიძემ საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;
/თანამომხსენებელმა: ჯემალ ბერიძემ საკრებულოს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, შენიშვნები და მოსაზრებები არ გააჩნიათ;

დადგენილება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (დადგენილება #5 თან ერთვის);

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის დამტკიცების შესახებ";

/მომხსენებელმა: ამირან საყვარელიძემ საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;
/თანამომხსენებლებმა: ჯემალ ბერიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ და ანტარამ მელტონიანმა სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ საკრებულოს გააცნეს კომისიის დასკვნები დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, შენიშვნები და მოსაზრებები არ გააჩნიათ;

დადგენილება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (დადგენილება #6 თან ერთვის);

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის გაცნობა;

მომხსენებელმა: ამირან საყვარელიძემ საკრებულოს გააცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში;

თანამომხსენებლებმა: ჯემალ ბერიძემ, ანტარამ მელტონიანმა, ლევონ მარკოსიანმა, ნუგზარ ჩამურლიევმა საკრებულოს გააცნეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების დასკვნები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშზე.

განხილვის შემდეგ საკრებულომ ცნობად მიიღო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში და ეთხოვა წალკის მუნიციპალიტეტის მერიას საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით ანგარიშში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინება;

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2025 წლის თებერვლის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

/**მომხსენებელმა:** ჯემალ ბერიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ;

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119.11925059001 თან ერთვის);

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი